შაბათი 30 მაისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 91 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 91

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთის ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ო. ნიჟარაძე ამით აცნობებს საზოგადოებას, რომ 30 ამა მაისს, დღით შაბათს, დღის 12 საათზე, ქუთაისის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა ყოფილის წინამძღოლის თავ.

**ვარლამ მიხეილის ძის ერისთავის**

სულის მოსახსენებლათ.

მწარე ხვედრით გულდამწვარნი ცოლშვილი, გულდათუთქული დედ-მამა, დები და ძმები აუწყებენ პატივცემულ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობთ, რომ კვირას, 31 მაისს, საფიჩხიის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლინახევრის წირვა და პანაშვიდი უდროოდ და ტრაღიკულად დაკარგულის ტეხნიკის

**დავით პეტრეს ძის წულეისკირის**

სულის მოსახსენებლად. წირვის შემდეგ პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე. 1—1—233.

ვლადიმერ იოსების ძე გაბუნია, მარიამ იოსების ასული ხორავასი, ელენე იოსების ასული ქობალიანისა, ემილია და ოლღა იოსებ გაბუნიას ასულნი, ანდრო უტუს ძე გაბუნია, გრიგოლ ბესარიონის ძე ქობალიანი, გიორგი და მიხეილ ბორისის ძენი ხორავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გადაიცვალა პირველის ხუთისა უძვირფასესი მამა, მეორესი ძმა, მესამესი სიმავრი და მეოთხეთა დაუვიწყარი ბაბუა

**აზნ. იოსებ უტუს ძე გაბუნია.**

გამოსვენება მოხდება კვირას, 21 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე, საკუთარი სახლიდან, სადგურის ქუჩა, საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. 1—1—234.

კნ. ცაცინო ნაკაშიძის ასული ერისთავისა კნ. ოლია ვარლამის ასული ერისთავისა და თავადი მახაკო ვარლამის ძე ერისთავი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 26 ამა მაისს—პირველი დაუვიწყარი მეუღლისა და მეორენი ძვირფასის მამისა

**თავადის ვარლამ მიხეილის ძის ერისთავისას.**

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე საკუთარ ბინაზე კაზაკოვის ქუჩაზე, ანანიაშვილის სახლში; გამოსვენება ბინიდან საფიჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავად კვირას, 31 მაისს, ნაშუადღევის 4 სათზე. 4—3—226.

კვირას, 31 მაისს, საიჩხიის [სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადაცვალებულის

**მარიამ კლიმენტის ასულის რატიანის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ჭირისუფლები: მიცვალებულის მეუღლე გიორგი ნესტორის ძე რატიანი, მშობლები: კლიმენტი ივანეს ძე არქიპოვი, მეუღლე მისი ივლიტა ტიმოთეს ასული შვილებითურთ.
პანაშვიდი დაიწყება 11 საათზე. 2—2—227.

მოწამეთის მონასტ. წინამძღ. არქიმანდრიტი დოსითეოსი აცხადებს, რომ კვირას, 31 მაისს, მონასტერში იქნება **საჯარო ვაჭრობა ქვის სატეხი კარიერის გაცემაზე.** ვაჭრობა დაიწყება 12 საათ.

ელექტრო თეატრი **„რ ა დ ი უ მ ი“**

საზაფხულო შენობა.

ხუთშაბათიდან, 28 მაისიდან, არაჩვეულებრივი პროგრამა.

I. სამხრეთი ისპანია.
II. **მაგარი სილა.**
კომიკური.
სენსაცია! III. სენსაცია!
**წარსულის შედეგები.**
ძლიერი დრამა 3 ნაწილად.

პროგრამის გარეშე!
ტელეგ. ალ. მაკუხას გმირობა!
ძლიერი დრ. ორ ნაწ. სამხედ. ცხოვრ.
I. ნ. გამბედავს ღმერთი ეხმარება!
II. ნაწ. ავსტრიელების სიმხეცე!
დასაწყისი საღამოს 7 საათზე.
ფასები ცოტათი აწეულია

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება სენსაც. სურათი: პერემიშლის აღება. 2 ნაწ. სკობელევის კომიტეტის სურათი.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის მძ. ყორყოლაძეების სამკურნალო

## ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საუმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდგან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება საღამოობით. თ.

გაბრიელ იოსების ძე
**ექიმი გოკიელის**
ელექტრონისა და სინათლის
კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი**
ამ ზაფხულს რჩება ქუთაისში და განაგრძნობს ავადმყოფების მიღებას ძველ ბინაზე დანიშნულ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, საკუთარი სახლი 11—1

**ექიმი** ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის. გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

კბილის ექიმები
**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**
ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და საღამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

**ექიმი** რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი.

## ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 28 მაისი. ოფიციალური კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ოლთისის გზით ოსმალონი შეეცადენ იერიშის მოტანას ზანჩართან, მაგრამ დამარცხდენ. ტორტუმის ტბასთან სროლა იყო, ოლთიჩაის ხეობაში კაზაკებმა ხელთ იგდეს ოსმალოთა ტრანსპორტი. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

### ბალტიის ზღვაზე.

**პეტროგრადი.** 27 მაის. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ 21-ს ბალტიის ზღვაში ჩვენი წყალქვეშა ნავი შეხვდა გერმანიის ესკადრას და ნაღმები ესროლა. სჩანს ნაღმები მიზანს მოხვდა, რადგან ნავს აფეთქების ხმა მოესმა ორჯერ. ვინდავას ახლო მყოფმა ინგლისის წყალქვეშა ნავმა 23-ს იერიში მიიტანა მტრის გემებზე. წყალქვეშა ნავმა ჩასძირა გერმანიის ერთი ნაღმოსანი და ერთი ტრანსპორტი და დააზიანა მეორე ნაღმოსანი. ჩვენმა ნაღმებმა ააფეთქეს მტრის ერთი გემი.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 28 მაისი. ოფიციალური მთავარ სარდლის შტაბისაგან. შავლის რაიონში ჩვენ მოვიგერეთ მტრის იერიშები რაკიევის ტბის ორივე ნაპირებზე. პილიცის მარჯვენა ნაპირზე მტერი მცირე რაზმებით შეეცადა იერიშის მოტანას, მაგრამ ჩვენ იერიში მოვიგერეთ და რამდენიმე ათეული ტყვეთ წამოვიყვანეთ. გალიციაში მასცისკასთან მტერს ძლიერი ძალებით იერიში მოქონდა. საღამოს ხუთ საათზე მტერმა არტილერიისა და შხამიანი გაზების დახმარებით სასტიკი იერიში მოიტანა და სამი საათის შემდეგ ქვეითა ჯარმაც მოიტანა იერიში, მაგრამ აქ შეჩერებულ იქნენ. მეორე დილას მტერი დიდის ზარალით უკუვაქციეთ. დნესტრზე ბრძოლა ჩვენდა სახეიროთ განვითარდა. გარტსბერგიდან ჟიდაჩევამდი ჩვენ მტერი შევავიწროვეთ და ხელმეორეთ ტყვეთ წამოვიყვანეთ 2000 კაცი 50 აფიცრით და ვიხელთეთ 8 ტყვიის მტყორცნელი. დნესტრის მარცხენა ნაპირზე ჟურავნოს რაიონში ვერ გამაგრდა და რკინის გზის იქით გავდენეთ. ჩვენ ხელში გადმოვიდა რამდენიმე სოფელი; სოფ. ბუკაჩევცის აღების დროს ჩვენ დავატყვევეთ 800 კაცი 20 აფიცრით.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 27 მაისი. საღამოს ოფიცალური ცნობა. არასის ჩრდილოეთით არტილერიის ბრძოლაა. ნევილსენვასტში ღამით და დღეს დილით ჩვენ ავიღეთ უკანასკნელი სახლები ასე, რომ ახლა მთელი სოფელი ჩვენ ხელთაა. ამას გარდა ჩვენ სოფელს იქითაც, ჩრდილოეთით წინ წავიწიეთ. ლაბირინტში, განსაკუთრებით მის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენ წარმატებით ვმოქმედებთ. ებიუტერნში ჩვენ გავაფართოეთ დაკავებული ადგილები ტუვანის ფერმასთან. ტრასილემონის აღმოსავლეთ რაიონში კენებიერის ფერმაში ჩვენ მოვიგერეთ მტრის იერიში. ჩვენ გვიკავია 24-დან დაკავებული პოზიცია. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი.** 27 მაისი. დღის ოფიციალური ცნობა. ტყის ნაპირზე ფრანგებმა წინ წაიწიეს 100 მეტრით 350 მეტრის ფრონტზე და დაიკავეს ორი, ზოგან კი სამი რიგი მტრის სანგრებისა. წამოიყვანეს 50 ტყვე. ჟოფრის წინადადებით მილერანმა გადასწყვიტა საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვოს ბრიტანიის ჯარის პოდპორუჩიკი უორდსფორდი, რომელმაც მოსპო გერმანიის ცეპელინი.

**ლონდონი.** 27 მაისი. ფელდმ. ფრენჩის ცნობა. მდგომარეობა არ შეცვლილა. არტილერიის ცეცხლი შენელდა. 24 ს პლუგოსტეერის ტყეში ჩვენ გერმანელების სანგრებს ქვეშ ავაფეთქეთ ნაღმი და 30 ადლის სივრცეზე დავანგრიეთ პარაპეტი. ჩვენ ჩამოვაგდეთ გერმანიის ორი ჰაეროპლანი: ერთი ჩვენი ჯარის მარჯვენა ფრთის პირდაპირ და მეორეც იპრის მიდამოებში ჩვენმა ავიატორმა ჩამოაგდო.

### კოლონიების დახმარება.

**ლონდონი.** 28 მაისი. მთავრობამ მიიღო იამაიკის, ბარბადოსის, ტრინიდადის და ბრიტანიის გვიანის წინადადება ინგლისში მოხალისეთა გაგზავნის შესახებ, რომელნიც ბრიტანიის ჯარს შეუერთდებიან. წინათ მთავრობა არ ღებულობდა

კოლონიებისგან ასეთ წინადადებებს, რადგანაც ადგილობრივი ჯარი საჭირო იყო გერმანელთა გემებისაგან მოსალოდნელი თავდასხმისაგან ასაშორებლათ.

**გემების ჩაძირვა.**

**ლონდონი.** 27 მაისი. ინგლისის აღმოსავლეთ ნაპირთან გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ნორვეგის გემი „გელიტერტინგი“, რომელიც შვეციიდან ჰარტლპულში მიდიოდა. ფასტერსის დასავლეთით 50 მილზე ჩაიძირა ნორვეგიის რკინის ბარჟა „სუპერბი“, რომელიც კვინსტოუნიდან ბუენოს აირესში მიდიოდა. კომანდა გადარჩა. მაგეტიდან იუწყებიან, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ბელგიის გემი „მენსპიერი“. უგზო-უკვლოთ დაიკარგა კაპიტანი, მისი მეუღლე, მისი ქალიშვილი, შტურმანი, ლოცმანი და კომანდის 12 კაცი.

**ინგლისის პარლამენტი.**

**ლონდონი.** 28 მაისი. პარლამენტმა მიიღო ბილი ჯარის სურსათის მიწოდების შესახებ, ამ დაწესებულების სათავეში სდგას ლლოიდ ჯორჯი. ლორდთა პალატაში კერზონმა ამ ბილის შესახებ განმარტა, რომ სამხედრო სურსათის საკითხი საინტერესოა არა მარტო ინგლისისთვის, არამედ მოკავშირეთა ჯარისთვისაც, რადგან ჩვენ ვამზადებთ და დავამზადებთ მოკავშირეებისთვის იმდენ სამხედრო სურსათს, რომლის რაოდენობის წარმოდგენაც ძნელია.

**ინგლისის ჯარის დანაკლისი.**

**ლონდონი.** 27 მაისი. თემთა პალატაში ასკვიტმა განაცხადა, რომ ბრიტანიის საექსპედიციო ჯარის მოკლულთა და დაკარგულთა საზოგადო რიცხვი საფრანგეთში და ხმელთა-შუა ზღვაში 18-ს უდრიდა 10955 აფიცერს და 247114 ჯარის კაცს. ბალფურმა განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინათ ჩაიძირა გერმანიის წყალქვეშა ნავი. 6 აფიცერი და 21 კაცი ტყვეთ წამოიყვანეს. ბალფურის სიტყვით წყალქვეშა ნავების გადარჩენილ ტყვეებს ისე მოეპყრობიან, როგორც დანარჩენ სამხედრო ტყვეებს და მათ შორის არავითარი განსხვავება არ იქნება მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიის წყალქვეშა ნავების მოქმედება ყოველ სამხედრო კანონს ეწინააღმდეგება. გერმანია ამ მოქმედების შესახებ პასუხს აგებს ომის გათავების შემდეგ.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** 27 მაისი. 26-ს ჩვენი ჰაეროპლანი ფიუმეზე გადაფრინდა და რამდენიმე სტრატეგიულ ადგილზე ყუმბარები ჩამოყარა. უკან დაბრუნების დროს ჰაეროპლანს მოტორი დაუზიანდა და იძულებული გახდა კუნძულ ლუსინზე ჩამოშვებულიყო. აქ მას ცეცხლი გაუჩნდა. როგორც მტრის ცნობიდან სჩანს, კომანდა გადარჩა და ტყვეთ არის წაყვანილი.

**რომი.** 28 მაისი. მთავარ ბინის ცნობა. ტიროლის საზღვრებზე ჩვენ ვმაგრდებით, რომ ამით მტერი ვაიძულოთ გამოაშკარაოს თავისი მზადება. ჩვენმა ჯარმა დაამარცხა მტერი მაღალი მთეპის ხეობაში კრიტ-დამპეცოს ჩრდილოეთით ათ კილომეტრზე. ჩვენ ვიხელთეთ ერთი ზარბაზანი. მონტეკროჩეში ბრძოლა იყო პრაიკოფელის დასაპყრობათ, რომელიც საგულისხმო პოზიციას წარმოადგენს. ავსტრიელები მას თავგამოდებით იცავდენ. 26-ს ჩვენმა ალპის მსროლელებმა დაიკავეს ეს ადგილი და ტყვეთ წამოიყვანეს რამდენიმე ასი კაცი. იზონცოზე ჩვენი ოპერაციები ვითარდებოდენ. მტერი მედგრათ გვეწინააღმდეგება, მას ხელს უწყობს ადგილობრივი პირობები. ჩვენი ჯარი მამაცათ იბრძვის. ჩვენ დავიკავეთ ქალაქი მონფალკონე. მონტენერო მაღლობებზე ჩვენ დავიკავეთ პოზიცია, საიდანაც ავსტრიელები გაიქცნენ, დასტოვეს ასამდე მოკლული და 60 დაჭრილი. კაპრეტოსთან ჩვენ დაგვნებდა 70 დეზერტირი ბოსნიელი. იზონცოსთან ბრძოლაში ტყვეთ წამოვიყვანეთ 400 კაცი. ტყვეების სიტყვით მტრის ზარალი დიდია.

**რომი.** 27 მაისი. დიპლომატიური კავშირის შეწყვეტის შემდეგ იტალია ფიქრობდა, რომ გერმანია მას ომს გამოუცხადებდა და ავსტრიას ჯარს მოაშველებდა, მაგრამ დღემდის ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, ამის გამო იტალიასა და გერმანიას შუა მოხდა დროებითი შეთანხმება ამ ორი სახელმწიფოს ქვეშევრდომების მდგომარეობის შესახებ. მათ შეუძლიათ თავიანთ ადგილებზე დარჩენ დაარსებულ კანონს დაექვემდებარონ.

**სერბიის ასპარეზი.**

**ნიში.** 26 მაისი. გერმანიის ავიატორი, რომელიც ეგრიპალანკასთან გადაფრინდა, იძულებული შეიქნა მოტორის დაზიანების გამო ძირს დაშვებულიყო. აფიცერი და უნტერ აფიცერი ტყვეთ წამოვიყვანეთ. თვით აპარატიც წამოვიღეთ.

მტრის ჰაეროპლანი გადაფრინდა პოჟარევაცზე და ცხრა ყუმბარა ჩამოაგდო, არის რამდენიმე დაჭრილი.

**ინგლისის გემის ჩაძირვა.**

**ლონდონი.** 28, ლონდონში ნახშირის ტვირთით მიმავალი გემი „ლედი სოლსბერი“ გარვიჩთან გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა.

**დარდანელი**

**ათინა.** 27, სმირნის მუსულმანთა წარჩინებულმა პირებმა თალაათ ბეის ადიუტანტს პეტიცია წარუდგინეს ზავის ჩამოგდების შესახებ. ქალაქში არეულობაა.

**ბრაიანის გადადგომა.**

**ვაშინგტონი.** 27. ვილსონმა შეიწყნარა ბრაიანის თხოვნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ. ბრაიანი წინააღმდეგი იყო გერმანიაში გასაგზავნი ნოტისთვის ულტიმატუმის ხასიათი მიეცათ. მისი აზრით, ეს მშვიდობიანობის პრინციპის დარღვევა იქნებოდა. ის სამსახურიდან გადის, რომ პრეზიდენტი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდეს. ფიქრობენ, თუ გერმანიასა და ამერიკას შუა შეთანხმება არ მოხერხდა, დამოკიდებულება შეწყვეტილი იქნება.

**ლონდონი.** 28. ბრაიანის გადადგომამ ქალაქში არაჩვეულებრივი მღელვარება გამოიწვია. ბრაიანის გადადგომით დარწმუნებული არიან, რომ შეერთებულმა შტატებმა გადასწყვიტა მედგრათ დაიცვას ამერიკელების ინტერესები, ბრაიანს არ სურდა ომი და მშვიდობიანობის მოტრფიალე იყო, კაბინეტის სხვა წევრები კი ფიქრობდენ, რომ მთავრობას უნდა შეესრულებინა თავისი პოლიტიკა. ვილსონთან ბაასის შემდეგ ლენსინგმა განაცხადა, რომ ნოტას გაზეთებში გამოაქვეყნებენ პარასკევს დილას, მთავრობა ნოტას გამოაქვეყნებს და ბერლიდან პასუხს არ დაუცდის.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 28 მაისი. ოფიციალური მთავარ სარდლის შტაბისაგან. ამ თვის 28 რიცხვის განმავლობაში ჩვენმა ჯარმა გმირული თავგანწირულებით დნესტრის მარჯვენა ნაპირზე განდევნა მტერი, რომელიც ამას წინათ ძლიერი ძალებით გადმოვიდა ჟურნავოსთან მდინარის მარცხენა ნაპირზე და შემდეგ ჟავრცელდა ჟუროვკოვ-სივკის ფრონტზე. მტერი მეტათ დაზარალდა; ჩვენ ვიხელთეთ 17 ზარბაზანი, 49 ტყვიის მტყორცნელი. ტყვეთ წამოვიყვანეთ 188 აფიცერი და 6500 ჯარისკაცი. ტყვეთა რიცხვში იმყოფება პრუსიის გვარდიის პოლკის ერთი მთელი როტა.

**დარდანელი.**

**ათინა.** 27 მაისი ტენედოსიდან იუწყებიან, რომ მოკავშირენი გალიპოლის ნახევარ კუნძულზე წინ მიიწევენ მტრის. რვა პოლკი, რომელიც ბულაირს იცავდა გაიქცა. მოკავშირეებს მუდმივ მოსდით მაშველი ჯარი. გერმანელები აქაც ხმარობენ შხამიან გაზებს. ოსმალონი ემზადებიან სტამბოლის დასაცავათ და გორაკებზე მძიმე არტილერიას სდგმენ. გერმანელებმა გადასწყვიტეს ქალაქი დასწვან, თუ დამარცხდენ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**გაზეთების შეჩერება.**

ანტვერპენის გაზეთების რედაქტორებმა თავისი გამოცემები დროებით შეაჩერეს, რადგანაც გერმანელების ცენზურამ პრესის თავისუფლება ძლიერ შეზღუდა.

ჟენევიდან იტყობინებიან, რომ იტალიელების მიერ დაკავებული პოზიციები საუცხოვოა. ამ მოკლე ხანში როვერეტოს ხელში ჩაიგდებენ. ბორგოს აღებამ იტალიის ჯარს გზა გაუხსნა ტრიენტისკენ, რომელსაც თავს დაესხმის ორი მხრიდანო.

**სამხედრო ბეგრის შემოღება ინგლისში.**

„ტაიმს“-ი ფიქრობს, რომ ინგლისის ახალი მთავრობა სამხედრო ბეგარას სავალდებულოთ გახდის. ლიბერალური პრესა წინააღმდეგია სამხედრო ბეგარის შემოღებისა.

„დეილ ქრონიკლი“ სწერს, ჩვენი კონსკრიპციონისტები სულელები არიან, თუ ფიქრობენ, რომ ომმა ბრიტანეთის ხალხის დამოკიდებულება სამხედრო ბეგრის შესახებ შესცვალაო. ინგლისის მუშებს კარგათ ესმის, რომ სამშობლოს კრიზისის დროს დიდი ჯარი ესაჭიროება. განა დღევანდელ ომში მუშები სახარულით არ ჩაეწერენ ჯარში და არ შექმნეს მოხალისეთა დიდრიცხოვანი არმია? ძალდატანებითი სამსახური კი მათთვის სასიყვარულო არ იქნება, როგორც ეს ომის დაწყებამდი იყო. მასის ეჭვი, მასის ზიზღი კონტინენტალურ მილიტარიზმისადმი, ახლა უფრო ღრმაა, ვიდრე ეს ოდესმე იყოვო.

**ბულგარეთი და რუმინია.**

ბუქარესტიდან „დეილ ქრონიკლს“ ატყობინებენ, რომ ბულგარეთსა და რუმინიას შორის ხელშეკრულმა დაიდვა, რომლის ძალითაც რუმინია უკან უბრუნებს ბულგარეთს დობრუჯის ნაწილს. რუმინიასთან მოლაპარაკება სამთა შეთანხმების სახელმწიფოებისა წარმატებით მიმდინარეობს. გარემოებიდან სჩანს, რომ რუმინია ახლო მომავალში საბრძოლათ გამოვა. ბერლინის გაზეთებს ბალკანეთის სახელმწ. პოზიცია გაურკვევლათ მიაჩნიათ. ბულგარეთის ნეიტრალიტეტი საეჭვოა, რადგანაც ხმებია ბალკანეთის სახელმწიფოების ახალ კავშირის შესახებ, რომელ კავშირშიც შევლენ ბულგარეთი, სერბია და საბერძნეთი.

მიუხედავათ ამისა, გერმანელებს იმედი აქვთ, რომ ბალკანეთის სახელმწიფოები აქტიურათ არ გამოვლენ ჯერჯერობით, ვიდრე გალიციაში ბრძოლა არ გადასწყდებაო.

იტალიის ნავთსადგურებში კონფისკაცია უყვეს ავსტრო-გერმანელები 57 გემს.

ავსტრიელებს საჩქაროთ გადაქვთ კარპატებიდან იტალიის ფრონტზე მძიმე საველე ზარბაზნები.

ბერლინში ზავის ჩამოსაგდებათ დემონსტრაცია მოახდინეს. ვოლფის სააგენტომ ყველა გაზეთს დეპეშით აცნობა ამ დემონსტრაციის შესახებ არაფერი გამოაქვეყნონ.

„რუსკია ვედომოსტი“ დეპეშით ატყობინებენ საფრანგეთის ახალ სამინისტროს შედგენის შესახებ ოგანიერი და მალვი სამსახურიდან გადადგენ.

## შინაური მორიგება და გერმანიის სოც.-დემოკრატია.

(დასასრული, იხ. „სამშობლო“ № 90).

„სამხედრო სოციალისტების“ აწინდელი ლიდერები გენიში, ლენში და ჰეინე, რომლებიც სოციალდემოკრატიის მარცხენა ფრთას ეკუთვნოდენ, დღეს მარჯვენით დგანან და გერმანიის მთავრობასთან ერთათ გერმანიის მტრებს ემუქრებიან.

მთავარი კითხვა, რამაც გერმანიის სოციალდემოკრატიაში უთანხმოება დაბადა, ეს ომის დროს წამოყენებული ტაქტიკური კითხვაა. ეს კითხვა პირველათ პრუსიის ლანდტაგში სოციალდემოკრატიის ორმა წარმომადგენელმა—გენიშმა და კარლ ლიბკნეხტმა დააყენა და აღმოჩნდა, რომ თითოეული მათგანი ერთიმეორის სულ წინააღმდეგ პრინციპებს აყენებდა და ამნაირათ პარტიაში ორ სხვადასხვა მიმდინარეობის დასაბამს აძლევდა.

ლანდტაგში გენიშმა აღფრთოვანებული პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა და ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთათ გერმანიის მტრების განაცარმტვერება ისურვა, ხოლო კარლ ლიბკნეხტმა ულმობელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა გენიშის სიტყვა და პრუსიული რეჟიმის დემოკრატიზაციის დაუყონებლივი უტყუარი გარანტიერი მოითხოვა.

მეორე „სამხედრო სოციალისტი“, ლენში, რომელიც წინათ რადიკალურ ს. დ. გაზეთს რედაქტორობდა, თავის საკმაოთ ვრცელ ბროშურაში ს. დ. პარტიის საერთაშორისო პლატფორმასაც შეეხო და თავისი ახლანდელი პოზიცია შემდეგნაირათ დაახასიათა.

მისი აზრით გერმანიის მუშათა კლასი, სამწუხაროთ, დროს განმავლობაში გერმანიის მთავრობას მტრათ ისახავდა და აქედან მისს საგარეო პოლიტიკასაც ისევე ებრძოდა და უარყოფდა, როგორც საშინაოს; ამით, იგი უცხოეთის წესწყობილებას უკრიტიკოთ ტოვებდა და თითქო მას იწონებდა.

მაგრამ ლენშის აზრით, აღმოჩნდა, რომ გერმანიის მეტოქე და მოწინააღმდეგე სახელმწიფოებშიც ისეთსავე „იმპერიალისტურ პოლიტიკას“ აწარმოებენ, როგორც გერმანიაში; და თუ ეს პოლიტიკა დასაგმობია გერმანიაში, მით უფრო უნდა დავგმოთ ის სხვა ქვეყნებშიო. პირიქით გერმანიის „იმპერიალიზმი“ მათთან შედარებით კიდევ უფრო სიმპატიურია და თანაგრძნობის ღირსი არის, მით უფრო, რომ მისი გამარჯვება საერთაშორისო პროლეტარიატის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, პირიქით იგი სავსებით უერთდება მას.

დოქტორი ლენში თავის მრავალ სიტყვასა და სტატიაში აღფრთოვანებულ დამცველათ გამოდის ესრეთ წოდებულ ახლანდელი „სამხედრო სოციალიზმის“; იგი მთავრობის დათმობა—კომპრომისების მაგალითებს პროლეტარული სოციალიზმის მოახლოვებათ და მისი პრინციპების თანდათანობით განსახიერებათ თვლის. მისი აზრით ვილჰელმის მთავრობა თითქო თანდათან ამზადებს ნიადაგს, რომ საზოგადოება, სახელმწიფო სოციალისტურ წყობილებაში გადავიდეს. ლენშის გადმოცემით ეს აზრი მთავრობას ერთ კონფერენციაზე, სადაც პურის მონოპოლიის საკითხის გამოსარკვევათ სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებიც იყვენ მიწვეულნი, ერთმა მინისტრმა პირდაპირ შენიშნა, რომ მთავრობის ახლანდელი ზომები სოციალიზმს ნიადაგს უმზადებენ და თითქმის სოციალისტურ წყობილებას ამყარებენო!

ეს და სხვა ამგვარი ფრაზები „სამხედრო სოციალისტებს“ ომის გავლენით გამოწვეული „სოციალისტური დაპყრობა“ და დიადი ისტორიული მომენტის მოწყალე საჩუქარი ჰკონიათ. აქედან მათი აზრით ასეთი დათმობა და ყოველგვარი „შინაური მორიგება“ გაბატონებული კლასებისათვის და მთავრობისათვის თითქო თავის ინტერესებზე ხელის აღების, სოციალური ექსპერიმენტების და კლასთა გათანასწორების შკოლა იყოს.

ასეთ მოსაზრების წინააღმდეგ სხვები ამბობენ, რომ „ყველა სამხედრო სოციალისტური ზომები მხოლოთ უნებური დათმობაა ომის გავლენით და ძალდატანებით; ეს მხოლოთ ძალაუნებური საჩუქარია მუშებისათვის, რომ მომქმედ ჯარს შინ ზურგი გაუმაგრონ და ამნაირათ შეძლება მისცენ მტერზე გამარჯვებისა. „შინაური მორიგება“ იძულებითი მორიგებაა და მხოლოთ ომის ინტერესებს ემსახურება. ასეთია მეორე ჯგუფის შეხედულება. ეს ჯგუფი თავს იყრის ბერლინის ერთ პატარა ჟურნალის გარშემო. მის წინააღმდეგ „სამხედრო სოციალისტების“, ამხედრება იქამდე მივიდა, რომ ერთმა მათგანმა ყველაზე უფრო განჩხლებულმა გაზეთმა ამ ჯგუფს გერმანიის მტრებისაგან ფულით დახმარების მღება-კი დასწამა.

მაგრამ მეორე მხრით ამ პატარა ჯგუფს გვერდში ამოუდგა სოციალ-დემოკრატიის ცნობილი ისტორიკოსი ფრანც მერინგი, რომელმაც როზა ლიუქსემბურგთან ერთათ დამოუკიდებელი ჟურნალი „ინტერნაციონალი“ დააარსა. მალე „სამხედრო სოციალისტებთან“ ბრძოლაში მათ კარლ კაუცკი მიემხრო და ამნაირათ დიდებული კამპანია გაჩაღდა!

მომავალი გვაჩვენებს, რით დასრულდება ეს კამპანია.

**დ—ელი.**

## ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოება.

(მოკლე ისტორია).
(იხილე „სამშობლო“ № 89).

დიდი გაჭირვების წელიწადი იყო ბანკებისათვის ჩვენ სახელმწიფოში 1904 წელიწადი —იანვარშივე დაიწყო ომი იაპონიასთან. ამას მრავალ ადგილას მოყვა მოძრაობა-არეულობა. დაეცა ფასები თითქმის ყველა აქციებისა, გირავნობის ფურცლებისა, თვით სახელმწიფო რენტისაც. ას მანეთიანები გახდა ცხრა თუმნად, რვა თუმნათ, შვიდ თუმნად —ყველა ბანკს აუარებელი ფული ქონდა გაცემული ამათ გირაოს ქვეშ და ბანკებს დიდი ზარალი მოელოდა.

ჩვენშიაც მარგანეცის ფასი ძლიერ დაეცა.—ფუთი, 12 კაპეიკად ღირებული, ფასობდა 7, 6 და 5 კაპეიკად.

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებას ამ წლის დასაწყისში 9000 ათას მან. მეტი გასესხებული ფული ქონდა ვექსილებით, და ამდენივე ფული ქონდა მიღებული მხოლოდ თავის წევრებისგან სასარგებლოდ.

მთავრობის რევიზიის შემდეგ ამ საზოგადოებას დაურჩა ვექსილებით გასესხებული 6000 ათას მანეთამდე და წევრებისგან სასარგებლოდ მიღებული ფულიც ამდენივე.

ჯერ კიდევ აპრილის თვეში იმავ 1904 წელს ფინანსთა მინისტრმა მიუცილებელ საჭიროებად სცნო, რომ როგორც ბანკებისთვის, ისე მსესხებლებისთვის თავიდან აეცილებინა [illegible] ზარალი, [illegible]ჩინა მათთვის დიდი დახმარება, და ცირკულიარით აცნობა მათ შემდეგი:—რადგანაც არა თუ ყველა სარგებლიანი ქაღალდებისა, არამედ სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდის—რენტის ფასიც კი დაეცა, ყველა ბანკების ნება გვეძლევათ, რომ არ იხელმძღვანელოთ თქვენი წესდების და კანონის მოთხოვნილებით, არ მოსთხოვოთ მსესხებლებს დამატებითი გირაო. მიცემული სესხი არ შეამციროთ და გირაოდ წარმოდგენილი სარგებლიანი ქაღალდები არ გაუყიდოთო.

ამისთანა დახმარებით მინისტრმა დიდი შემწეობა აღმოუჩინა მთელ რუსეთში ყველა ბანკებს, რომლებსაც კი ქონდათ გაცემული სესხათ ფული სხვა და სხვა სარგებლიან ქაღალდების გირაოთი.

ივლისის თვეში ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში მოხდა რევიზია. რევიზორათ იყო კამერ-იუნკერი ორდინი.—

რევიზორმა წარუდგინა თავისი მოხსენება მინისტრსა და მინისტრმა ამ საზოგადოების გამგეობას შემდეგი მოსწერა:

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში რევიზორმა აღმოაჩინა 538.000 მანეთის ზარალი. ამ ზარალის დასახურავად საჭიროა, რომ წევრებმა ახლავე გადაიხადონ 420,000 მანეთიო, კრება დანიშნეთ და თუ კრება ამას არ მიიღებს, მე იძულებული ვიქნები, რომ ეგ საზოგადოება სრულიად დავახურვინოო. რევიზორის მოხსენება დააბეჭდვინეთ და ყველას დაურიგეთო.—

დახმარებაც ამისთანა უნდა გაჭირვების დროს!

ნახევარ მილიონზე მეტი ზარალი რევიზორმა დაანახვა მინისტრს. აი რაში: პროტესტიანი და ვადაზე გადაცილებული ვექსილები აქვთ 172,000 მან. მარგანეცის ფასი ფუთი 4 კ. გამხდარა და რაც ამ მარგანეცის გირაოთი აქვთ ფული გასესხებული, იმაში 300 ათას მანეთს ზარალობენო. 48,000 მანეთის წვრილი ვექსილებიც, რომლებითაც ფულის გადახდის ვადა ჯერ არ იყო გასული, ზარალათ ჩასთვალა,—ღმერთმა უწყის რათა!

ამისთანა რევიზიის საპასუხოდ მაშინვე დაიბეჭდა გამგეობის მოხსენება, მაგრამ ვინ წაიკითხა, ან ვის უნდოდა რამის გაგონება და შეტყობა?

ასტყდა ერთი საშინელება.

მოიწვიეს კრება, მაგრამ კრებამ არ მოისურვა მოესმინა გამგეობის პასუხი არც წერილობითი, არც დაბეჭდილი, არც სიტყვიერი,—განუკითხავათ გადააყენეს თითქმის ყველანი, რომელთაც ებარათ ამ საზოგადოების საქმე,—და ახალი თავმჯდომარე და ახალი დირექტორები ამოარჩიეს.

ეს მოხდა დეკემბრის ბოლო რიცხვებში. ერთი თვის შემდეგ,—ე. ი. იანვარში 1905 წელსა, ახლად ამორჩეულმა გამგეობამ—სიმონ ლორთქიფანიძემ, ნესტორ ერისთავმა და გიორგი აკოფოვმა მინისტრს წერილობით, სხვათა შორის, შემდეგი მოახსენეს:

„დღეს მარგანეცის ფასმა აიწია, და ფუთი $6^1/_4$ კაპეიკათ ფასობს, გარდა ამისა იმ 172,000 მანეთის ვექსილებში უკვე შემოვიდა 58.000 მანეთიო; რაც შეეხება 48,000 მანეთის ვექსილებს, რომელთაც ჯერ ვადა არ გასვლოდათ სრულიად არ იყო ზარალათ მისაღებიო. ისე რომ მოსალოდნებელი ზარალი, და არა ნამდვილი ზარალი საპასუხოდ წევრებისთვის სულ რჩება მხოლოდ 222,000 მანეთი, ესეც იმ შემთხვევაში, თუ მარგანეცი ფუთი $6^1/_4$ მეტათ არ გაიყიდაო.

მაგრამ სრული იმედი არისო—დასძენდა გამგეობა—რომ მარგანეცის ფასი კიდევ აიწევს, და იმ ძველ ვექსილებში კიდევ შემოვა ფული, ისე რომ ვექსილებში და მარგანეციდან შემოსულ ფულებით ზარალი თითქმის სრულიად დაიხურება დ თუ რამე ნამდვილი ზარალი დარჩება წარსული დროასა, იმის დახურვა წევრებისაგან წელიწად ნახევრის განმავლობაში გვადროეთო.

მინისტრმა მაშინვე შეიწყნარა ეს თხოვნა და თავის თანხმობა ახალ გამგეობას დაუყოვნებლივ აცნობა.

ეს მოხდა 1905 წლის თებერვალში.

(შემდეგი იქნება)

**შეცდომის გასწორება.**

P. S. იქ, სადაც ნათქვამი იყო „25 წლის განმავლობაში“.—უნდა ყოფილიყო „24 წლის განმავლობა“.

14
ეროვნული ბიბლიოთეკა

## საურთიერთო ნდობის გარშემო*).

გვიყვარს „საქმიანობა“, გვიყვარს იმდენად, რომ მზათ ვართ არსებული საქმე დავფუშოთ, დავანაწილოთ მხოლოდ იმიტომ, რომ მერე ახალის აშენებას შევუდგეთ.

ასეთმა უმადურმა მუშაობამ დაგვღუპა და დღეს მით უფრო გვღუპავს.

დღეს ისეთი კრიტიკული მომენტია გამეფებული ყოველგვარ დარგში, რომ მეტად ძნელია რაიმე საყურადღებო საქმის გაკეთება-გაძღოლა იმ ძალებითა და ენერგიის წყალობით, როგორიც ჩვენ მოგვეპოება.

მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც ჩვენებურ „საქმიანობას“ არ ვიშლით.

სწორედ ასეთი უსაქმური-საქმიანობის ელფერი აძევს ქუთაისის საურთიერთო ნდობის გარშემო ატეხილ ამბავს.

„სამშობლოს“ ინიციატივითა და წყალობით ფართო საზოგადოებისათვის უფრო თვალნათელი შეიქნა ამ ბანკის მდგომარეობა და მის ხელმძღვანელთა დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ეს-კი ძლიერ საყურადღებოა.

საყურადღებოა მით, რომ ამ საზოგადო საქმეს ეძლევა საზოგადო ხასიათი, ირღვევა ძველი პატრიარხალური ჩვეულება, კაბინეტებსა და დერეფნის კუთხეებში ჩურჩულის ნაცვლად, მოღვაწის ღირსება და ნაკლი დასაბუთებული სახით საზოგადოებისათვის საცნაური ხდება

ამ მოვლენას ორი დიდი მნიშვნელობა აქვს. პირველი, თვით საზოგადოება ეცნობა ამა თუ იმ პიროვნების ღირსება-ნაკლულევანებას. მეორეს მხრივ, ყოველ ამგვარ გამოშზეურების შემდეგ, თუ საზოგადო მოღვაწეს ნაკლი და დეფექტი თან ახლავს, ასეთი საჯარო მხილება უდიდეს ზეგავლენას ახდენს და ინტელიგენტი ადამიანი ადვილად იცილებს თავიდან ასეთ ნაკლს.

ამ მხრივ ჩვენ დიდად ვაფასებთ „სამშობლო“-ში ატეხილ კამათს, ბ-ნ რ. დათეშიძის საბანკო მოღვაწეობის შესახებ.

ჩვეულებრივად ადამიანს ნაკლულევანებაც თან დასდევს. სრულყოფილი ადამიანი შემკული ყოველგვარი თვისებითა და ღირსებით ისეთივე იშვიათია, როგორც სასწაული ჩვენს დროში. საქმე მხოლოდ ისაა, აქვს თუ არა ადამიანს ისეთი თვალსაჩინო ნაკლი, რომ მის მოღვაწეობას, მის შრომას ძირს უთხრის და საზოგადოებისათვის საზარალოდა ხდის. თუ ადამიანი საზოგადოების მინდობილ საქმეს პირნათლად ასრულებს, დანარჩენ ნაკლულევანებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, თუ ნაკლი ზნეობისა და პიროვნების შემბღალავი არ არის.

ბ-ნ რ. დათეშიძის წ-ნააღმდეგ რამოდენიმე წერილი დაიბეჭდა. მაგრამ ვერც ერთმა ავტორმა ვერ წამოაყენა საყურადღებო რამ ბრალდება, თუ რისთვის შეიძლება ამ პიროვნების დაწუნება ჩვენს საბანკო საქმეში.

რომ ბ-ნი დათეშიძე კომერციული ნიჭის პატრონია, მცოდნე და განათლებული თავის დარგში, ამას ვერც მისი მოწინააღმდეგენი ჰყოფენ უარს.

ბანკის საქმეების წარმატებაში კი ეს ყველასფერს ნიშნავს. ამ შემთხვევაში კომერციული ნიჭი და უნარი ის ძირითადი ქვა-კუთხედია, რომელზედაც მუდამ შენდება ყველგან საბანკო წარმატება და კეთილ-მდგომარეობა.

კომერციული ალღო ბანკის საქმეში ყოველგვარ განათლებაზე მაღლა სდგას და ბანკის სასიკეთოდ ჩვენ პირველს მივსცემდით, უეჭველად, უპირატესობას მეორეს წინაშე.

ეს კარგი თვისება ბ-ნ დათეშიძეს ხელუხლებლად შერჩა. მაშ რა ნაკლი აქვთ წამოყენებული მოწინააღმდეგეებს ბ-ნ დათეშიძის მიმართ? ეს არის ნაკლი კერძო ხასიათისა, კერძო კომერციულ საქმიანობის ნიადაგზე.

ბ-ნი დათეშიძე, ბანკის დირექტორობასთან ერთად აწარმოებს თურმე კერძო საქმეებს, ეწევა ვითომც მისთვის შეუფერებელ სპეკულიაციას. იგია წარმომადგენელი მამულებისა და ტყეების შემსყიდველი კომპანიისა, სიმინდის დარიგება აილო იჯარით მთავრობისაგან, და მონაწილეობას იღებდა შაბიამნის ყიდვა-გაყიდვაში...

მაგრამ ყოველივე ეს ნაკლ-ა და არა ბრალდება.

არის ერთგვარი სისუსტე, რომელიც მის მთავარ საბანკო ღირსებას ვერ ამარცხებს, მხოლოდ ასუსტებს. ჩვენ-კი დარწმუნებული ვართ, რომ ბ-ნი დათეშიძე სრულიად ადვილად მოაცილებს თავის თავს ამ ზედმეტ ბარგს, როგორც მისი მდგომარეობისათვის სრულიად უვარგისსა და უნაყოფოს, შეეცდება თავისი ენერგია სხვა უფრო საპატიო საქმიანობას წაახმაროს და თვით იმ საქმეს, რომელშიაც მას ეს რამოდენიმე წელიწადია ფეხი უდგია, კიდევ მეტ ენერგიას მიუზომავს, რადგანაც დიდ საქმეს არასოდეს არ მოსჭარბდება შრომა და ენერგია.

ჩვენ არ ვიცით, ვინ არიან ბ-ნ დათეშიძის სამაგიერო კანდიდატები. შეიძლება ისინი სრული საპატიო პირები იყვნენ. ღირსი საყოველთაო პატივცემისა და თანაგრძნობისა, ჩვენ მათ წინააღმდეგ სათქმელი არა გვაქვს რა, ვიტყვით მხოლოდ, რომ, ახალის ძებნას, და ახალი ბედის ცდას, საბანკო საქმეს ძველი ნაცნობი ხელმძღვანელი ურჩევნია, თუ ასეთი ხელმძღვანელის ხელში ბანკის საქმე წალმა მიმდინარეობს.

საურთიერთო ბანკის საქმე დაქცეული სარძიკვლიდამ მკვიდრს საძირკველზე შედგა. არაა საჭირო მისი დაშლა, მხოლოდ იმ იმედით, რომ უკეთესს ავაშენებთო... ვაი, რომ გამოცდილებით ვიცით, რაც დაიშლება, იგი ჩვენს ხელში მთლად დაიშლება და ძალიან ადვილად შეიძლება სულ თავლია ცის ქვეშ დავრჩეთ...

ჯაფარ—ფაშა.

*) ყოველივე ჩვენგან ნათქვამისა და იმ მითქმა-მოთქმის შემდეგ, რომელიც ჩვენმა წერილებმა გამოიწვიეს ქუთათურ ინტელიგენტთა ერთ ჯგუფში, ვბეჭდავთ ამ წერილს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი კაცი მაინც გამოჩენილა, რომელსაც შეუგნია ჩვენი პოზიცია, და ღირსეულათაც აფასებს მას. **რედ.**

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

ხვალინდელი ჩვენი გაზეთის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება: „ბედნიერების ძებნაში“ მოთხრობა მ. ე—ლისა, „შემეცნების ასპარეზზე“ ლექსი ს. ურუშაძისა და „სადამო“ სამ. წევგლისა. სურათები: დამშეულები დ. აბაშაში, პოდპოლკოვნიკი ივანე გასილის ძე სვანიძე ჯარის კაცები: გ. ნ. გაბრიაძე, მედიტონ იობის ძე გაბრიაძე, ბიქტორ დიმიტრის ძე ნოსელიძე და ვლადიმერ დუგას ძე კოხრეიძე.

✦ 26 მაისს სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში მოხდა ამ ბანკის ზედამხედველი კომიტეტის კრება თ-დ სოლომონ გ. მიქელაძის თავჯდომარეობით. კრებამ გაანაწილა ის 15,000 მანეთი, რომელიც საზოგადო კრებამ გადასდვა სხვა და სხვა საჭიროებისათვის ამ თანხიდან ზედამხედველმა კომიტეტმა, 10000 მანეთი მისცა ქუთ. ქართულ გიმნაზიას ღარიბი მოწაფეების სწავლის ფულისაგან გასათავისუფლებლათ. 2250 მანეთი ძველი სენაკის საახნაურო სკოლას, ხარჯების დასაფარავათ; 2400 მანეთი-ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, ბათომის ოლქისა და ქუთაისის გუბერნიების მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოთ. კომიტეტმა აგრეთვე 300 მან. სისცა დამსახურებული მსახიობის კ. ს. მესხის ქვრივს ერთდროულ დახმარებათ და 50 მან. ბანკის რეგისტრატორათ ნამყოფს ი. ჰანტურიშვილს.

✦ მევენახეობისა და მეღვინეობის უფროსი სპეციალისტი ბ. კ. ბერეკაშვილი ამ დღეებში მიემგზავრება ნანიეშვილის საზოგადოებაში საჯამიას სერზე, სადაც გამართავს საუბარს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ სხვა და სხვა საჭიროებაზე. სხვათა შორის საზოგადოებას გააცნობს ყურძნის ღვინის დაყენების ახალ კანონებს.

✦ ქალაქის გამგეობის წევრი პავლე მოსიძე, რომელსაც ქალაქის გამგეობისაგან მინდობილი ჰქონდა დასწრებოდა თფილისში კავკასიის ქალთა კავშირის კრებას, გუშინ დილის მატარებლით ქუთაისს დაბრუნდა და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

✦ როგორც ქიათურიდან გვწერენ, იქ დაუარსებიათ ჯარში გაწვეულ ჯარისკაცთა დამხმარე კომიტეტი. კომიტეტის წევრებათ არიან: ექიმი ჯაფარიძე, თ. ჯაფარიძე, ა. საფანოვი, ი. პერსენაკი, ლ. ზაროკილი და ტ. ანთელიძე, კომიტეტი ამჟამათ დახმარებას აძლევს ჭიათურის რაიონიდან გაწვეულ ჯარისკაცთა ოჯახებს. კომიტეტს განზრახვა აქვს დახმარება მისცეს აგრეთვე სხვა რაიონის ჯარისკაცთა ოჯახებსაც.

✦ რედაქციამ მიიღო „განათლების“ საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნაკი „დედათა ქართული სასტატო სემინარია“ წიგნაკში აღნიშნულია თუ რა მნიშვნელობა აქვს დედათა სასტატო სემინარიას და სხვა სასწავლებლებს.

✦ ხვალ, 31 მაისს, დილის 10 საათზე, ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში მოხდება ქუთაისის საურთიერთო ნდობის ბანკის წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) არჩევა საბჭოს 4 წევრისა, არჩევა სარევიზიო კომისიისა 3 წევრისა და მათი კანდიტატებისა; 2) არჩევა გამგეობის თავჯდომარისა; და 3) ბანკის ვექილის ი. ზ. ბადრიძის, 14 წლის სამსახურისათვის, დაჯილდოვება.

✦ დღეს, 30 მაისს, საზოგადო საკრებულოს საზაფხულო დარბაზში გაიმართება საოჯახო საღამო.

საღამოს შემოსავლის 10% გადაიდება დაჭრილ ჯარისკაცთა სასარგებლოთ.

✦ გუშინ 29 მაისს, დილით მდინარე რიონში წითელ ხიდიდან გადავარდა ვიღაც მარდანეიშვილი.

მარდანეიშვილი დამხრჩვალი იპოვეს, მიზეზი ჯერ გამოურკვეველია

✦ ნინო სახლთხუცეშვილს ქალმა ქ. ეთნოგრაფიულ საზოგადოების გამგეობას გადასცა სამი ფული, 1) ვერცხლის სპარსული, 2) ძველი რუსული სპილენძისა, 3) თითბრის თეთრი ფული (გამოცნობა ძნელია). და სხვ...

✦ როგორც შორაპნიდან გვწერენ. შორაპნის მაზრის ახალგაზდათა გაწვევა სამხედრო ბეგრის მოსახდელათ გუშინ, 29 მაისს დაიწყო.

### თფილისი.

— დეპეშა თავად-აზნაურობას. დაქვრივებულმა კნეინამ ტატიანა კონსტანტინეს ასულმა მუხრან-ბატონმა თბილისის ქართველ თავად-აზნაურთა მარშლის აღმასრულებელს თავ. მ. სუმბათაშვილს ტვერიდან გამოუგზავნა შემდეგი დეპეშა:

„გთხოვთ საქართველოს ეგზარხოსთან ერთად ხელმძღვანელობა გაუწიოთ დახვედრას. მსურს რომ ნეშთი ჩემის განსვენებულ მეუღლისა ესვენოს დილამდე სიონის ტაძარში, მეორე დღეს კი გასვენებულ იქნას მცხეთაში. დასაფლავება და წირვა საგვარეულო საკრძალავში, განსვენებულის პაპას გვერდით. გთხოვთ აგრეთვე იყიდოთ რაც კი თბილისში ვარდი იქნება და მოიხმაროთ იგი სამგლოვიარო შემკულობის მაგივრად, ვინაიდგან არ მსურს ნახვა არც სამგლოვიარო შავი ძაძა, არც შავი ბალდახინ“-ი.

— ცხედრის მოსვენება. გუშინ საღამოს 6 საათზე თბილისში მოასვენეს ნეშთი ბრძოლის ველზედ განგმირულის ფლიგელ-ადიუტანტის თავად კონსტანტინე მუხრან-ბატონისა. ცხედარს სადგურზე დაუხვდნენ საქართველოს ეგზარხოსი ყოვლად უსამღვდელოესი პიტირიმი, მთელი ქალაქის სამღვდელოება, ადგილობრივ უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელნი, მრავალი თავად-აზნაურობა თავის მარშლის, თავ. გ. სუმბათაშვილის მეთაურობით და ბევრი ხალხი. სადგურიდან ცხედარი გაასვენეს სიონის ტაძარში, სადაც გადახდილ იქმნა პირველი პანაშვიდი. დღეს, 28 მაისს, დანიშნულია მეორე პანაშვიდი. დღესვე ცხედარს მცხეთაში გაასვენებენ. საქართველოს ეგზარხოსის განკარგულებით ცხედრის დახვედრაც და გასვენებაც მოხდება განსაკუთრებულის ცერემონიალით.

— თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის გარდაცვალების გამო, ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა მისს მიერ გაგზავნილ სამძიმრის დეპეშაზე დიდ მთავარს კონსტანტინე კონსტანტინეს სახელობაზე შემდეგი საპასუხო დეპეშა მიიღო: „გულწრფელად გმადლობთ თანაგრძნობისათვის ჩვენი ოჯახის დამწუხრების გამო, კონსტანტინე. ელისაბედი“.

— თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის დაკრძალვის შესახებ. ერევნის პოლკის ქალები დეპეშით თხოულობენ მათის მხრით ვერცხლის გვირგვინი დაედვას თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის კუბოს.

— თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის დაკრძალვის შესახებ. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ დაადგინა მიიღოს მონაწილეობა თავ. კ. ა. მუხრან-ბატონის მოსვენების დროს და აგრეთვე გააცილოს ცხედარი მცხეთამდე, სადაც დაკრძალვას დაესწრება.

— ქართველ მოღვაწეთა პანთეონი. ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ 26 მაისს დაადგინა: დიდუბის ეკლესიის გალავანში შემოღობოს პანთეონისათვის შეძენილი ადგილი და მიენდოთ გ. ლასხიშვილს და ი. გიორგობიანს გამოარკვიონ რამდენი დაჯდება ხსენებულ ადგილის შემოღობვა და აგრეთვე იკისრონ თვით შემოღობვის მოწესრიგება. **„საქართ“.**

### მოწერილი ამბები.

**ყვირილა.** შაბათს, 30 მაისს, ადგილობრივ საზოგადო საკრებულოს სცენაზე ქართველ მსახიობთა ამხანაგობა ვასო ურუშაძის მეთაურობით გამართავს წარმოდგენას.

წარმოდგენილი იქნება ორი ახალი პიესა. მონაწილეობენ ქ.ქ. მარო მდივანი, ნ. ჯავახიშვილისა. ბ.ბ. ი ბარველი, ა. მგალობლიშვილი, ა. ყალაბეგიშვილი, გ. გურული, ვ. ურუშაძე და დ. ჩხეიძე.

— კვირას, მასწავლებელი ვ. არდიშვილი წაიკითხავს ლექციას. სრული შემოსავალი გადადებული იქნება ადგილობრივი თეატრის შენობის ასაგებად.

— აქ შესდგა კომისია და ფულს აგროვებს დამშეულ გურია-სამეგრელოს მცხოვრებთა სასარგებლოდ.

— ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებელში სწავლა დაიწყება 7 აგვისტოდან.

— გაიხსნა პროეკტორი „ამპირ“. სურათები ჯერ-ჯერობით არ აქვს. ხალხიც ცოტა ეტანება.

— **ბაკაის დღე.** დიდებული მგოსნის დაბადების დღის, 9 ივნისის, აღსანიშნავათ მზადებას ადგილობრივი წ. კ. საზ. განყოფილება უკვე შეუდგა.

— შაბიამნის ფასი ავიდა 40 მანეთამდე დიდ ბოროტებას ჩადიან აქაური ვაჭრები, რომლის გვარებსაც შემდეგ გამოვააშკარავებთ.

— სიმინდის ფასმა აიწია რვა აბაზამდი, რის გამოც სანოვაგეც ძლიერ ძვირი გახდა, გლეხი იძახის, „თუ თქვენი საქონელი გაძვირდა, ჩვენიც უნდა გაძვირდეს“, ამ რიგათ ყველაფერზე ფასებმა ძლიერ აიწია. **კგამატი.**

### მევენახეთა საყურადღებოთ.

სხვა უბედურებასთან ერთად ხალხს დაატყდა კიდევ ახალი უბედურება. მთელ ბაღდათის საბოქაულოში მცხოვრებნი ვენახის შემოსავლით რჩებიან. სიმინდის და სხვა მოსავალი აქ უფრო ნაკლებათ მოდის. სოფ. ხალხი კრეფს ყურძენს, მიაქვს ბაზარზე, ყიდის და იმით სხვა საჭიროებას იკმაყოფილებს, ესე იგი ყიდულობს სიმინდს, იხდის გადასახადს და აკმაყოფილებს ოჯახის სხვა მოთხოვნილებებს. რომ რაიმე შემთხვევით ხალხს ეს შემოსავლის წყარო მოაკლდეს, ვინ იცის რა გასაჭირი უნდა განიცადოს ხალხმა; და სწორედ ამ განსაცდელის კარებზე ვართ დღეს მისული; აგერ მაისის ბოლო რიცხვებმა მოაწია და ვენახები კიდევ მოწამლული არ არის შაბიამნით. მიზეზი შაბიამნის უქონლობაა. უცხოეთიდან მისი შემოტანა საერთაშორისო ომის გამო არ შეიძლება და რაც გასული წლის შემოტანილი საქონელი იყო დარჩენილი, ის ხომ ჯერ ხალხს ვერ დააკმაყოფილებდა და მეორე ესეც რომ არ იყოს, ვაჭრების აღძრული მადის დაკმაყოფილება განა ხალხს შეუძლია?

ვენახების უწამვლელობას ცუდი ამინდებიც ხელს უწყობს. ღრუბლიანი, ნოტიო და წვიმიანი ამინდები ვენახის სოკო-ავათმყოფობის ნაცრისა და ჭრაქის გავრცელებას ძლიერ ხელს უწყობს. თუ ასეთი ამინდები გაგრძელდა, მთელი ზაფხული ვენახებს 3—4 წამლობაც, დასჭირდება, ხოლო სულ მოუწამლავი ვენახები სრულებით განადგურდება. რაიმე საშუალების გამოძებნაა საჭირო, რომ ხალხი გონიერათ მოეკიდოს ამ საქმეს, და უშაბიამნობით თავისი ნაშრომი ვენახები არ გააფუჭონ.

ქუთაისის საგუბერნიო მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის უფროსი სპეციალისტი ბ. კ. ბერეკაშვილი უკვე სწერდა ამის შესახებ „სასოფლო გაზეთში“, რომ ვენახები სულ არ გაფუჭდეს ნაცრისა დაჭრაქისგან, იხმარეთ გოგირდი და კირი ერთმანეთში შეზავებულიო; ამასვე ვიმეორებ მეც: ვისაც არა გაქვთ შაბიამანი, იხმარეთ გოგირდი და კირი ამ რიგათ შეზავებული:

6 ფუთ წყალზე აიღეთ:
$3^1/_2$ გირვანქა გოგირდი
$3^1/_2$ გირვანქა ქვა კირი.

კირი უნდა დააშოთთ ცოტა წყლით, როცა კირი დაიშლება და ეს ფხვნილი კიდევ ცხელია, მას ცოტ-ცოტა უნდა მიუმატოთ ალებული გოგირდი. ხელით გასრისეთ შიგ გოგირდი, თან ურიეთ ჯოხით ერთმანეთში და ცოტ-ცოტაობით უმატეთ წყალი, ვიდრე ექვსი ფუთი შესრულდებოდეს, რომ ზომიერათ გათხელდეს. შემდეგ დაურიეთ ჯოხით კარგათ და იხმარეთ ვერმორელის მანქანით ისე, როგორც შაბიამანი.

ამ რიგათ ვენახებსაც უშველით და უფრო იაფათაც დაგიჯდებათ.

ვისაც შაბიამანი შეძენილი აქვს, ან შეუძლია იყიდოს, უნდა შეამზადოთ ასე: აიღეთ 4 ფუთი წყალი
2 გირვანქა შაბიამანი
1 გირვანქა ქვა კირი.

ჯერ შაბიამანი უნდა ჩაკიდოთ ტომარით ან კალათით წყლიან ჭურჭელში და გასძრავთ, შემდეგ ცალკე ჭურჭელში გასძარით კირი, გაწურეთ საცერში, ჩაასხით გახსნილ შაბიამანში დაურიეთ კარგათ ჯოხით, ორი საათი აცალეთ და შემდეგ ვერმორელის მანქანით ასხურეთ ვენახებს. ჭურჭლიდან ამოღების წინ წამალს კარგათ უნდა დაურიოთ ჯოხით და ისე ჩაასხით აპარატში. ვენახის წამლობისათვის უნდა ამოარჩიოთ კარგი, წყნარი, მზიანი, უქარო ამინდი. მხოლოდ ჩვენში ერთი მიზეზი სჭირთ; სოფლებში ვენახებს თავის დროზე არ ნორჩვენ. განორჩვა საჭიროა ვენახის პირველი წამლობამდი, მ. ი. როცა ყლორტებს 4-5 გოჯი აქვს სიგრძე. ჩამოაცალოთ უნდა რაც ძველ ტანზეა ამონაყარი ყლორტები ექნება და აგრეთვე ხშირ ყლორტებში უფრო სუსტები და უნაყოფო ყლორტები უნდა გამონორჩოთ. თუ ერთ ალაგას ორი ყლორტია გამოსული ერთი, უნდა მოაცილოთ რომელიც უფრო სუსტია. მაშინ მათზე საზრდო მასალა აღარ დაიხარჯება. მთელი ძალა საჭირო ყლორტებში წავა, ვაზებიც კარგათ დაიზრდება, მტევნებიცა და მარცვლებიც უფრო დიდრონი დაიზრდებიან და წამლობის დროს წამლის შხეფები ვენახის ყველა ნაწილებს უფრო რიგზე მოხვდება.

დამზადებული წამალი 24-საათზე მეტი არ უნდა გააჩეროთ. თუ მეტი ხანი გაჩერდა დამზადებული წამალი თავის ძალას კარგავს და ვენახის სოკო ავათ მყოფობაზე შესაფერისათ არ მოქმედობს. ზოგიერთებს გონიათ, რომ დამზადებული წამალი თუ დიდ ხანს გაჩერდა, უკეთესიაო, ეს შეცდომაა. ზოგჯერ დამზადებული წამალი მთელი კვირეობით რჩება და მერე წამლობენ ვენახს. ასეთი წამალი სოკო ავათმყოფობაზე აღარ მოქმედობს, ამიტომ წამალი იმდენი უნდა შეამზადოთ, რომ დღის განმავლობაში დახარჯოთ. მეორე და მესამე წამლობის დროს საჭიროა მტევნების მეტი გონივრულათ წამლობა. გარდა ამისა, საჭიროა ვენახის გოგირდით წამლობა პირველათ, როცა ყლორტები 5-6 გოჯის სიგძე იქნება. მეტათ საჭიროა ყვავილობის დროს გოგირდის მიყრა, რაც მეტად შველის ვენახის მტევნების კარგად დაყვავილებას. შემდეგი წამლობა უნდა მოხდეს დაყვავილების შემდეგ, როცა დაიმარცვლება, დაახლოებით ივლისის პირველ რიცხვებში, ან ნახევრამდი. თუ ვინიცობაა ნაცარი მაინც გაუჩნდა მტევნებს, გოგირდით კიდევ უწამლებთ, მეტადრე წვიმიან წლებში. **გიორგი ანტ. უნგიაძე.**

# დაბა-სოფელი.

**ს. სვირი.** (ქუთაისის მაზრა.) აქაური მცხოვრები ირაკლი მაჩიტაძე დაპირდა ხალხს ვენახისათვის შაბიამნის მოტანას ქ. ბათუმიდან დაკლებულ ფასებში, თუ ხალხი მას მისცემდა ამისთვის ხელშეკრულობას; ხალხიც დიდის აღფრთოვანებით შეხვდა მის ასეთ წინადადებას და გაუკეთეს ხელშეკრულობა. უფროს სპეციალისტის ბ. კ. ბერეკაშვილის დახმარებით მოიტანა ქ. ბათუმიდან სამი ბოჭკა შაბიამანი, ფუთი ხუთ-მანეთ ნახევარში და ამ ფასებშივე ხარჯდადებით უნდა ჩაებარებია მას, მაჩიტაძეს ხელშეკრულობაში მოხსენებულ პირებისათვის. მაგრამ ბ-ნმა მაჩიტიძემ დახმარების მაგივრათ ორმო გაუთხარა ისედაც ილაჯ გაწყვეტილ ხალხს: ჯერ ერთი ბოჭკა შაბიამანი ადგილზედვე გაჰყიდა ჩუმათ სხვა პირებზე და ოც თუმნამდის აძრო, დანარჩენი კი მოიტანა და ხალხს გაუცხადა: „თუთხმეტი მანეთი დაჯდა ფუთი შაბიამანი და მე ოც მანეთად უნდა გავყიდოვო“, ხალხმა მიმართა მთავრობას, რათა დახმარება აღმოეჩინა მათთვის და ხელშეკრულობის ძალით შაბიამანი ჩაებარებიათ მათთვის, რაზედაც ადგილობრივმა მამასახლისმა უფროსს კომიტეტის მოწერილობის ძალით დააკავა შაბიამანი და ისედაც ილაჯ-გაწყვეტილი ხალხი იხსნა ზედმეტი ცარცვა-გლეჯისაგან.

ამ წლის მარტის თვეში ვიღაც აქაურ მცხოვრებს მიუცია უსახელო თხოვნა ქუთაისის მაზრის უფროსისათვის, რაშიც ასახელებდა ადგილობრივ მამასახლისის კ. რობაქიძის უწესო მოქმედებას და ფარულათ მონაწილეობის მიღებას არაყის

გამოხდაში. მთავრობამ მოსთხოვა მამასახლისს პასუხი და ამორჩენა უსახელო მოჩივნისა. მამასახლისმაც მოახდინა ყრილობა, რათა აღმორჩინა მომჩივანი, მაგრამ ცდამ ტყუილად ჩაიარა. მე კი პირდაპირ ვიტყვი, რომ მამასახლისი, რობაქიძე, არა თუ საჩივრის, პირ იქით მადლობის ღირსია, ვინაიდან აგერ სამ წელიწადზე მეტია რაც სოფელს ემსახურება და პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას.

სირცხვილი იმ ადამიანს (თუ კი ასეთ კაცს ადამიანი ეწოდება), რომელიც უდანაშაულო კაცს ტყუილა უბრალოდ ჩირქს სცხებს.

**აქაური.**

---

**სოფ. გეგუთი** (ქუთაისის მაზრა). სოფელი გეგუთი 12 ვერსის მანძილზეა დაშორებული ქ. ქუთაისს და მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. საზოგადოთ სოფელი, რომელიც ახლო მდებარეობს კულტურულ ცენტრთან მეტად ფხიზელი და გონივრულად განვითარებულია, ვიდრე ის სოფელი, რომელიც მოკლებულია კულტურულ ცენტრთან ურთიერთობას. სამწუხაროთ, ს. გეგუთზე ეს არ ითქმის. კულტურულათ ის ნაკლებათ არის განვითარებული. აქ ვიშვიათათ თუ შეხვდებით წერა-კითხვის მცოდნეს, მიუხედავათ იმისა, რომ ბავშობისას შესაძლებელია კიდეც უსწავლია, მაგრამ, დროთა ვითარების გამო, დავიწყებია. რა თქმა უნდა მიზეზი ამისა ის არის, რომ გაუთავებია სკოლაში სწავლა თუ არა მას შემდეგ თვალითაც კი არ დაუნახავს წიგნი. გეგუთლების უკულტურობას კი ბევრი დაბრკოლება და არა სასიამოვნო მოვლენა მოყვება ხოლმე. ქჩიფი და ლოთობა ხომ უმაღლეს წერტილამდეა განვითარებული, რასაც აუცილებლად მუშტი-კრივობა და ერთმანეთის იარაღით დაჭრა მოსდევს. ხვნა-თესვა და საზოგადოთ მიწის დამუშავება პრიმიტიულ საშუალებით სწარმოებს. მაგრამ ყველაზე გულსაკლავ მოვლენათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ არც ერთ აქაურ მცხოვრებს არ სწადია საზოგადოებას რაიმე სარგებლობა მოუტანოს. მისი მოთხოვნილება და მისწრაფება საკუთარ ჯიბეს და კუჭს არ სცილდება. ყოველივე სოფლის საჭირბოროტო საქმეები მივიწყებული არის და თუ ვინიცობაა გამოჩნდა ისეთი პირი, რომელსაც სურს წრფელის გულით სარგებლობა მოუტანოს თავის მშობელ სოფელს, ყოველ მხრივ მოესმის: „ჰკა მაგას! ეს არის ჩვენი დამღუპველ-დამქცევიო“. ამგვარ პირებს რაღაც რიდა უნდობლობის თვალით შესცქერიან და რა თქმა უნდა, ყოველ ღონეს ხმარობენ, ხელი შეუშალონ სოფლის ხასარგებლოთ დაწყებულ კეთილ საქმეში.

ნათლათ ხედვენ ჩვენი სოფლის მცხოვრებნი, რომ უგზოობის გამო ძლიერ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, რადგან გაწვიმდება თუ არა ყოვლად შეუძლებელი ხდება მიმოსვლა. ბრალი ამ საქმეში ედება ჩვენს მამასახლისსაც. იმის და მიხედვით თუ როგორია მამასახლისი, სოფელი მეტ გასაჭირს და ლალხინებას განიცდის. საუბედუროდ, არც მამასახლისი გვყავს გულ შემატკივარი სოფლისა. ის მხოლოდ თავის ინტერესს იცავს და სოფლის გასაჭირს არაფრად აგდებს. კერძო ინიციატივას კი ხელს უშლიან. მამა სოფლისა ნათელი დამახასიათებელი არის თვით სოფლისა!

რაიმე კულტურულ დაწესებულებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი! ოთხი-ხუთი თვის წინათ დააარსეს სამკითხველო, მაგრამ ამ დროის განმავლობაში ათეული მკითხველიც კი არ შესულა.

ერთ-კლასიანი სამინისტროს სკოლა თავის დანიშნულებას სინიდისიერათ ასრულებს, თუმცა ჩვენს მასწავლებლებს ძლიერ ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობა. მიზეზი ამისა, რასაკვირველია, ბევრია.

ამ ორი—სამი თვის წინეთ მასწავლებლებმა მოითხოვეს ერთი ქცევა მიწის მიმატება სკოლის ეზოსათვის, რათა აკაცია დაერგოთ და სკოლა უზრუნველყოთ შეშით. სხვა სარგებლობასაც მოუტანდა ეს დასაწყისი, რადგან ბავშები იმუშავებდნენ ტყის გასაშენებლათ და ფიზიკურად ვარჯიშობა კი, სამი—ოთხის საათის დახურულ ჰაერში მეცადინეობის შემდეგ, უეჭველია სარგებლობას მოუტანდა ბავშებს, მაგრამ გეგუთლები აქაც გადაელობნენ მასწავლებლების სურვილს და ნათხოვნი მიწა არ დაუთმეს.

ჩვენდა საუბედუროთ სოფელში ძლიერ მცირე ნაწილია ინტელიგენტებისა, რომელთაც აქვს სურვილი რაიმე სარგებლობა მოუტანონ საზოგადოებას, მაგრამ ეს სურვილი სურვილთვე რჩება, რადგან გეგუთის პირობებში პრაქტიკულათ განხორციელება რაიმე საზოგადოებრივი იდეისა ყოვლად შეუძლებელია. საჭიროა, ხანგრძლივი, ენერგიული მუშაობა, რათა ახალ თაობას მაინც ჩაუნერგოთ ჭკვიანური მისწრაფებანი და აღზარდოთ მასში საზოგადო მუშაკი.

ვიმედოვნებთ ამას პირნითლათ შეასრულებენ ჩვენი პატივისაცემი მასწავლებლები.

**ლევან გეგუთელი.**

---

# სვანეთი.

სვანეთს ყველაზე მეტათ აწუხებს უფულობა, რომლის შოვნისთვისაც მას მხოლოდ ერთი საშუალება აქვს; წავიდეს ზამთრობით, იმუშაოს სხვა კუთხეებში და იშოვნოს მით ფული. საუბედუროთ, სვანს ამ საშუალების გარდა კიდეც რომ ჰქონდეს სხვა საშუალება, იგივე ვერ სარგებლობს ამით, რადგან მას მეტათ უყვარს თვისი სამშობლო და სხვაგან განცხრომით ცხოვრებაში ძვირათ თუ გაცვლის თავის მაღალ მთებში ტანჯვით ცხოვრებას. ამისთვისაა, რომ იგი ვერ ჰკიდებს ხელს ქალაქებში ვაჭრობა მრეწველობას და თითქმის ვერც ერთ ქალაქში თქვენ ვერ ნახავთ სვანს, რაიმე სავაჭრო დუქანი ჰქონდეს და ვაჭრობას აწარმოებდეს. მისი ერთათ ერთი საშუალებაა ისევ ბარ-ლაფათქა და იმერეთ, რაჭა-ლეჩხუმ და გურია—სამეგრელოს მინდორ-ყანები და ბაღ-ვენახები, ისევ ამ მიწის ჩიჩქნით შოულობს იგი რამოდენიმე გროშს და გაზაფხულის დამდეგს გარბის სვანეთისაკენ, რათა ნაშოვნი ფულით გაჭივრებამ შეუმციროს თვის საცოდავათ მორჩენილ ჯალაბობას.

ამასთან ყველას ხომ არ შეეძლებათ სამუშაოთ წასვლა? ამათში, ვინიცის, რამდენი უმამაკაცო ოჯახია სადაც მამაკაცის როლს თამაშობს ქვრივი დედაკაცი, რომელიც თავგანწირულათ დასტრიალებს ოჯახს და თავის საცოდავ ობლებს, ან არის ისეთი ოჯახი, სადაც მარტო ერთი მამაკაცია და ისიც მოხუცი, რომელსაც არ შეუძლია იხეტიალოს შორს ქვეყნებში. რა ქნან ამ ოჯახებმა? უთუოთ ან შიმშილით ან უტანისამოსოთ უნდა დაიხოცნენ. ისევ საწყლები მიმართვენ დიდის ხვეწნა-მუდარით ვინმე შეძლებულ კაცს, რომელსაც ფული აქვს და სესხულობენ იმისაგან მამასისხლათ: მანეთს სამი აბაზის სარგებლით, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში მანეთში უნდა გადიხადონ რვა აბაზი. საწყალი ღარიბი სვანი ხედავს ამ სისასტიკეს, მაგრამ რა ქნას, შიმშილით სიკვდილს, ისევ ეს ურჩევნია, სესხულობს იგი, მაგრამ გადახდა არ უნდა? წერეულს თუ არ აქვს გაისთ სულ ვინ მისცემს? ისევ მეორე წელსაც უნდა გამოუცვალოს ვექსილი მოვალეს, ასე მესამე წელს, ასე მეოთხეს და ბევრჯერ ხდება, რომ ხუთ მანეთში ხუთ თუმანს იხდის საცოდავი სვანი. სხვა გზას რომ ვერ შოულობს, ვალში აძლევს ან ყანას ან სხვა საქონელს რასმეს, რითაც უარესათ იცლის ლუკმას პირიდან. ამ ტანჯვას კიდევ სიცილით მიეგებება იგი, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ასე მამასისხლულ სესხითაც ვერ შოულობს იგი თავის დროზე ფულს.

ამ შემთხვევიდან სვანები ძლიერ დაშინებულნი არიან. მათ ამ რამოდენიმე წლის წინათ მიმართეს თხოვნით მთავრობას, რომელშიდაც სთხოვდნენ აღმოეჩინა მთავრობას მათთვის საშუალება, რომელიც რაოდენათმე შეუმსუბუქებდა მათ ტვირთს. ამ საშუალებათ მიაჩნდათ მათ ან პურ სიმინდის მაღაზიის გახსნა სვანეთში, ან და ბანკი, საიდანაც სვანებს შეძლებოდათ გაჭივრების დროს ესესხნათ ფული, მთავრობა დაპირდა მათ, მაგრამ ვხედავთ, რომ დაპირება დაპირებათ დარჩა და სვანებს კი იმედი გაუცრუვდათ...

სვანეთი სწავლა-განათლების მხრით ყველა სხვა კუთხეებზე უფრო ჩამორჩენილი არის და ესეც უნდა მივაწეროთ სიღარიბეს და სვანთა უსახსრობას.

სვანი დიდ პატივს სცემს ნასწავლ ადამიანს და შურითაც შეჰყურებს ყველას, ვინც ნასწავლია. რომ ჰკითხოთ მას: რატომ სასწავლებელში არ მიაბარებ ბავშსო,—გიპასუხებს:—ეჰ გაჭივრებას კი დაუდგეს თვალი, თორემ მაგაზე უკეთესი რაა. უწინ კი სულ სხვა აზრისანი იყვნენ სწავლის შესახებ. „სასწავლებელში შვილი გამისულელდებაო“... უმალ, როდესაც სვანს არ სურდა სწავლა და საჭიროებათ არ რაცხდა მას, სახელმწიფო ხარჯზე ლებულობდენ სვანის ბავშებს, ხოლო დღეს, როდესაც სვანმა იცნო სწავლის საჭიროება და მოვალეობა, ყველამ ზურგი იქცია. დღეს უიმედო სვანი გულზე ხელ დაკრეფილი, წარბ შეკრული, სევდიანათ შესცქერის ყველას და ნელა ბუტბუტობს: „როდესაც არ მსურდა, პირში ძალით მჩრიდით, ხოლო დღეს, როდესაც მ ჯურს პირიდან მაცლით“... მართალია, პირველმა შრომამ სვანის გულში აღძრა სწავლისადმი უსაზღვრო სიყვარული და გააცნო მას მისი დიადი მნიშვნელობა, მაგრამ რა საჭირო იყო ესეც, თუ ამან უნაყოფოდ ჩაიარა და სვანს აწიც არ გაუმართეს ხელი? მართალია აქა იქ რუსულ სკოლებში ე. ი. ისეთი როგორიც არის გალში (სამურზაყანო) და სხვაგან, სადაც ქართულ დედაენას არ სწავლობენ, იქ ღებულობენ სახელმწიფოთ, მაგრამ სვანი მაინც ამ სწავლით ჰკარგავს, პირველს ადამიანისათვის, დედა-ენას. სხვა სასწავლებლებში სვანს ძალიან ძვირათ ღებულობენ სახელმწიფო ხარჯზე თავის ხარჯზე შვილის გამოზრდა კი სვანეთში იშვიათად შეუძლიათ და რჩებიან ისევ ის „ყრუ“ სვანები, რაც იყვენ უმალ...

გეცოდებოდესთ პატარა სვანები, რომლებიც იბადებიან უვიცნი და უვიცნივე კვდებიან: ამდენი ხვეწნა მუდარის და ლაპარაკის შემდეგ დროა, აღმოჩნდეს რამე ისეთი წყარო, რითაც სვანებს შეუმსუბუქდეს მძიმე ტვირთი.

დროა მივხედოთ მათ გაჭივრებულ ცხოვრებას, ვუშველოთ განათლების მხრით მაინც, რომ სვანმა ის მრავალი მავნებელი ზნე-ჩვეულება მაინც განდევნოს თავის გულიდან, რომელიც ყველა სხვა გაჭივრებაზე უფრო მავნებელია მისთვის ცხოვრებაში. იმედია, სიტყვა სიტყვათ არ დარჩება მარტო და პატივცემული მოძმენი იპოვნიან რამე საშუალებას გაჭივრებულ სვანთა საკეთილდღეოთ.

გულახდილათ აღვიარებ ყველას წინაშე, რომ სვანეთის ინტელიგენციის იმედი სრულიად არა მაქვს, თავის გაჭივრებულ მოძმეთ ხელი გაუწოდონ.

ისევ თქვენ, იმერეთო და ქართლ-კახეთო, ისევ თქვენ მოგმართავთ დღეს დაქვეითებული და ცხოვრების საშინელ ცკლებში გახლართული სვანი, ისევ თქვენ დაიხსენით, გაუწოდეთ ძმურათ ხელი... თქვენს ხელთ არს მისი მომავალი.

**ამბროსი მუშვან.**

---

# თეატრი და ხელოვნება.

ხუთშაბათს, 21 მაისს, ადგილობრივ თეატრში დაიწყო წარმოდგენები უკრაინელთა დასის, ცნობილ უკრაინელ მსახიობის ბ. გაიდამაკის მეთაურობით. პირველ დღეს, ე. ი. ხუთშაბათს, 21 მაისს, წარმოდგენილ იქნა „ნესჩასნე კოხანე“, პარასკევს, 22 მაისს, „მაისკანიჩ“, შაბათს, 23 მაისს, „ციგანკა აზა“, კვირას, 24 მაისს, „ზაპოროჟეც ზა დუნაემ“, სამშაბათს, 26 მაისს, „მარუსია ბოგუსლავკა“ და ოთხშაბათს, 27 მაისს, „ნატალკა პოლტავკა“. ქქვსივე წარმოდგენაზე თეატრი ხალხით სავსე იყო პირველ წარმოდგენაზევე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელ საზოგადოებაზე, და სწორედ იმით აიხსნება, რომ შემდეგ წარმოდგენებზე ხალხი აუარებელი ესწრებოდა. დასის უმთავრეს უპირატესობას იპყრობენ ისეთი მსახიობნი, როგორც მაგალითად არიან: ქ-ნი კოჩუბეი-დზბანოვსკაია და ქ. შოსტაკოვსკაია, (**პირველი როლების მოთამაშე ქალნი**), განსაკუთრებით პირველი ნიჭიერი მსახიობი ქალია, ბ. გაიდამაკი და ბ. მანკო. (ეს ორი უკვე კარგად ცნობილნი არიან უკრაინელთა თეატრალურ სფეროში, როგორც ნიჭიერნი მსახიობნი). უმთავრეს მათ ღირსებას ის შეადგენს, რომ თამაშის დროს მარუს გაურბიან და სინამდვილეს და უბრალოობას იცავენ. არ შეგვიძლიან აგრეთვე არ აღვნიშნოთ ბ. მანკოს სხვა და სხვაობა, რაიც უფრო დიდ ღირსებას აძლევს მსახიობს. დანარჩენი მსახიობნი გამოსარჩევნი არა რიან. საერთოდ ყველანი ანსამბლს ხელს უწყობენ, რაიც ღირსებას შეადგენს ამ დასისას. ქალ-ვაჟთა მომღერალი გუნდი კარგათ ასრულებს თავის მოვალეობას. მოცეკვავენი, ქალნი და კაცნი კარგები არიან, განსაკუთრებით ქ-ნი, გაიდამაჩენკოს არა უშავს რა, რომ ცოტათი ცეკვას არ ამლაშებდეს გადამეტებულის ტრიალით, რაიც, ჩემის აზრით, სინამდვილესთან დაშორებულია. რაც შეეხება ორკესტრს, ცოტათი მოისუსტებს, და ეს კი იმის ბრალია, რომ ორკესტრის შემადგენლობაში მხოლოდ 12 კაცია. დასს აქვს საკუთარი დეკორაციები და ყოველგვარი მოწყობილობა. როგორც განცხადებიდან სჩანს, დასი დარჩება ქუთაისში ათი წარმოდგენის გასამართავად. საზოგადოთ, პიესები უკრაინელთა დასისა მოისუსტებს შინაარსის მხრივ; თითქმის ზოგიერთი პიესები ერთი მეორეს ძალიან წააგვანან როგორც ეტყობა პიესების ავტორებს უმთავრესი ყურადღება აქვს მიქცეული სიმღერისა და ცეკვისათვის, სხვათაშორის, ერთ პიესაში, თავიანთებურ ცეკვს გარდა შეასრულეს „ლეკური“, მაგრამ რომ არ ეცეკვნათ უმჯობესი იქნებოდა. ეგეთი „ლეკურის“ ცეკვა უფრო ჰგავდა „გოპაკს“ ვიდრე „ლეკურს“. საზოგადოთ საჭიროა, რომ მეორეთ მაინც აღარ იცეკვონ ასეთი „ლეკური“, არამთუ ჩვენში, არამედ რუსეთშიაც, თორემ უცხოს ეგონება, რომ ასეთი „ლეკური“ სინამდვილე არისო, ისე სხვადასხვა მხრივ დასზე ცუდი არა ითქმის რა, მხოლოდ ერთი რამ არ შემიძლიან უყურადღებოთ დავსტოვო: ქანდარის შესავალთან სდგას დასის მიერ დაყენებული ქალი, რომელიც ბილეთებს თვალყურს ადევნებს, და სწორედ ეს ქალბატონი არა საკადრისათ და სხვა და სხვა სიტყვით ნათლავს დამსწრე ახალგაზრდობას, განსაკუთრებით „დიდის პატივით“ იხსენიებს ქართველობას. ვურჩევ მაგ ქალბატონს ფრთხილად და პატივის ცემით მოეპყრას სხვა ეროვნებას, თორემ შეიძლება ასეთ არა სასურველ ამბავს, შედეგიც ცუდი მოჰყვეს. საზოგადოთ, ბ. გაიდამაკის გუნდი ვერ სტოვებს კარგ შთაბეჭდილებას, რაიც უკვე დაამტკიცა იმ ამბავმა, რაც 28 საღამოს თეატრის დარბაზში მოხდა.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

„სამშობლოს“ № 67-ში მოთავსებული იყო ჩემი წერილი, რომელიც ეხებოდა სოფ. მექვენის გამსესხებელ ამხანაგობის 1914 წ. შემოსავლის უკანონო განაწილებას ამ წერილზე გაზ. „სამშობლოს“ № 70-ში ბ. ი. ახვლედიანმა მიპასუხა შემდეგი: ვითომც, მისი აზრით, მექვენის, ღერჩის და [illegible] სკოლებს ეჭირვებათ მატერიალური დახმარება და არა დანარჩენ ოთხ [illegible] სკოლას.

აშკარად შემიძლია აღვნიშნო, რომ ამ ოთხ სკოლას უფრო მეტად ეჭირვებათ დახმარება, ვიდრე პირველ სამს; მაგალითად: სოფ. ჭაშლეთისა და საჩხეურის სკოლების შენობებს არ აქვთ ბუხრები და ბავშვები ზამთრობით დამტვრეულ ღუმელების კვამლით იხრჩობიან. ამას გარდა ჭაშლეთის ხსენებული სკოლის შენობა სდგას ეკკლესიის ვიწრო გალავანში და რომ ხალხმა სკოლისათვის შეიძინოს თავისუფალი ადგილი, სჭირდება 40—50 მან. მაგრამ, სიღარიბისა და მოუსავლელობის გამო ვერ შეუძლია. თუ ამისთანა სკოლებს სჭირიათ დახმარება, მაშ მექვენის სკოლას რაღა უნდა, როცა თავისუფალი ადგილიცა და შენობაც კარგი აქვს. მაგრამ ეს ასე მიტომ მოხდა, რომ ხსენებულ ამხანაგობის წევრნი უფრო სარგებლობენ ამ სამი სკოლით და ფულებიც მათ მოახმარეს.

მეორედ, ბრძანებს ბ. ახვლედიანი, რომ ამხანაგობამ რაოდენიმე პროცენტი შემოსავლისა გადასდვა ომში დაჭრილ ჯარის კაცთა სასარგებლოთ, ჰო, მაგრამ ეს სულ ტყუილი ფაქტია; და ეს შემიძლია დავამტკიცო [illegible]ტით პირების დამოწმებით, თუ საჭიროა მოითხოვა. და თუ ვინიცობაა გადასდვა ამხანაგობამ ფული დაჭრილთა სასარგებლოთ, შეეშველება, ეს მოხდა მას შემდეგ, რაც წერილი მოვათავსე გაზეთში.

მესამედ, ამბობს, რომ მე არ დავესწრი ვარ ამხანაგობის წევრთა კრებასო. ს[illegible] რომ, როგორც სხდომას არ დასწრებია, ა[illegible] ხსენებული სკოლების ვითარებაც იცის, ამ[illegible]ტომ, სამართალი მოითხოვს, რომ ჯერ კა[illegible]გად უნდა გაეცნობოდა ბ. ახვლედიანი საქმ[illegible] ვითარებას და მერე თავისუფლად შეეძლ[illegible] ეპასუხნა ჩემთვის.

**მასწ. ევგენი ხანიკაძე.**

---

**რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.**


დაიბეჭდა და იყიდება კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა

„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“ ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო „ჯაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები. თ. მ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ — თ.

ნუნისის სამკურნალო ზუნებით თბილი

აბანო. აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც [illegible] უმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, რო[illegible]გორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჰკურნავს გასაკვირველად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუალებას აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს შორაპნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღლობზე ნაძვნარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბრამდე. თ. 215


ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან. რაფლმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეიძისა — ქუთაისში.